განმარტებითი ბარათი

"პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსის“ (კონკურსი N2/10) ფარგლებში პროექტის „მუშა“ დაფინანსების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების პროექტზე

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 ნოემბრის N201 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი (N2/10) „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების“ დაფინანსების მიზნით. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 14 თებერვლის N24 ბრძანებით შექმნილი „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი N2/10) განმხილველი საექსპერტო კომისიის“ (შემდგომში - საექსპერტო კომისია) 2022 წლის 21 აპრილის N1 დასკვნის საფუძველზე, გამოცხადებულ კონკურსში ქულათა უმაღლესი რაოდენობა (63 ქულა) დააგროვა პროექტმა „ტვირთი“ (შპს „ჯემინი“).

ამასთანავე, საექსპერტო კომისიის N1 დასკვნის შესაბამისად, საკონკურსოდ წარმოდგენილი 15 პროექტიდან, აღნიშნულმა კომისიამ დაფინანსების რეკომენდაცია გაუწია 3 (სამი) უმაღლესი შეფასების მქონე პროექტს:

1. „ტვირთი“ - შპს „ჯემინი“, 63 ქულა;
2. „მუშა“ - შპს FILM ASYLUM, 61 ქულა;
3. „დაბადება“ - შპს ნიუდოკ ფილმი, 58 ქულა.

2022 წლის 04 მაისს, სსიპ საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის დირექტორს Nა2-220 განცხადებით მიმართა საექსპერტო კომისიის წევრმა, რუსუდან გლურჯიძემ. წერილით იკვეთება, რომ რუსუდან გლურჯიძე ინტერესთა კონფლიქტში იმყოფება ერთ-ერთ საკონკურსო პროექტთან - „ტვირთი“, რომლის განმახორციელებელია შპს „ჯემინი“. საკონკურსო კომისიის წევრის განმარტებით, პროექტთან „ტვირთი“ დაკავშირებულია მისი მეუღლე, რომელიც არის შპს „სინეტექის“ (ს/ნ 204506800) დირექტორი, კერძოდ, განმცხადებლის მითითებით, შპს „სინეტექი“ აღნიშნული პროექტის გეგმაში მოხსენიებულია, როგორც ტექნიკური აღჭურვილობის (უსასყიდლოდ) მიმწოდებელი კომპანია. ამასთანავე, რუსუდან გლურჯიძე განმარტავს, რომ მისთვის აღნიშნული გარემოების შესახებ ცნობილი გახდა 2022 წლის 3 მაისს. საგულისხმოა, რომ 2022 წლის 31 მარტს, რუსუდან გლურჯიძეს ხელმოწერით დადასტურებული აქვს აღნიშნულ კონკურსში მონაწილე საკონკურსო პროექტებთან ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის გარემოება.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციაში (პროექტის გეგმა) შპს „სინეტექი“ მითითებულია, როგორც აპარატურის ინვესტირების განმახორციელებელი (თანხა 70 000.00). ამასთან, კომისიის წევრ რუსუდან გლურჯიძეს პროექტ „ტვირთისათვის“ მინიჭებული აქვს უმაღლესი - 10 ქულა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, იკვეთება პროექტ „ტვირთთან“ საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტი, რასაც რუსუდან გლურჯიძე თავადვე ადასტურებს. ამასთანავე, მისი განმარტებით, აღნიშნულის შესახებ მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 ნოემბრის N201 ბრძანებით დამტკიცებული „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების პირობების“ (შემდგომში - დაფინანსების პირობები) თანახმად, საექსპერტო კომისიის წევრები ხელს აწერენ განაცხადს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის თაობაზე. ამდენად, საექსპერტო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ეკრძალება წევრს, რომელსაც გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი საკონკურსო პროექტთან/პროექტებთან.

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნული კინოცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებით. აღნიშნული დებულების მიზანია, კინოს სახელმწიფო დაფინანსება განხორციელდეს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების განუხრელი დაცვით და კონკურსის ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნეს საკონკურსო კომისიის მიუკერძოებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის წევრის შესაძლო დაინტერესება კონკურსის შედეგთან დაკავშირებით მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაძლო დარღვევაზე მიანიშნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების მექანიზმებს და განსაზღვრავს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის“ ცნებას, რომელიც განიმარტება, როგორც საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება საჯარო დაწესებულების ინტერესებთან.

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 14 თებერვლის N25 ბრძანებით დამტკიცებული „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი N2/10) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის“ მე-4 პუნქტის თანახმად, კონკურსის საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად. საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით. ამავე წესის მე-5 პუნქტის მიხედვით, საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს. ხოლო მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისათვის დაფინანსების ოდენობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა, უარი ეთქვას პროექტის „ტვირთი“ (პროდიუსერი - შპს. „ჯემინი“ (ს.კ. 204499300), რეჟისორი ანა იოსავა) დაფინანსებას. ცენტრის დირექტორმა, კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება, დაფინანსდეს მხოლოდ ერთი, საექსპერტო კომისიის მიერ ყველაზე მაღალი ქულით შეფასებული პროექტი. ვინაიდან პროექტის - „ტვირთი“ მომდევნო უმაღლესი შეფასების მქონე პროექტს წარმოადგენს **„მუშა“** – (პროდიუსერი - შპს FILM ASYLUM (ს.კ. 404977352), რეჟისორი - გიორგი ქობალია), მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული პროექტის დაფინანსება 550 267.01 ლარით.